საპატრიარქო ნებართვის[1]

წ ე რ ი ლ ი

რიმნიკის ეპისკოპოსის ანთიმოზის
უნგროვლახეთის მიტროპოლიტად დადგინების შესახებ
1708 წლის თებერვლის დასაწყისი[2].

ვინაიდან ყოვლისმჭვრეტელი ღვთის მადლითა და წყალობით ღვთის წმინდა ეკლესიის საჭის მართვა გვხვდა წილად, ჩვენ გვმართებს გულიყურით ვიზრუნოთ მსოფლო წმინდა ეკლესიათა მდგომარეობასა და კეთილ წყობაზე ყველგან; რაც შეეხება სხვებს, მათთან სათანადო წესრიგი საჭიროა და საქებარია, ეკლესია კი იმით განსხვავდება, რომ ემსახურება იმ საჭიროებებს, რაც ღვთისთვის მოსაწონია და გამოხსნის მომტანია, რაც სხვა არაფრით მიიღწევა გარდა იმისა, რომ თითოეულ ეკლესიაში განწესდნენ ღირსეული და უნარიანი პირები, რომლებსაც ჩაბარდებათ სულიერი პირმეტყველი სამწყსოს დამოძღვრა ღვთისა და მისი კანონების თანახმად. მას შემდეგ, რაც უნგროვლახეთის ყოვლადუსამღვდელოესმა მიტროპოლიტმა თეოდოსიოსმა უფლის მიერ მიიძინა და მარადიულ სამყოფელში გადაინაცვლა, ეს უწმინდესი მეტროპოლია კი სამღვდელთმთავრო მფარველობის გარეშე დარჩა, საჭირო აღმოჩნდა მყისიერად და გადაუდებლად მასში სხვა მღვდელთმთავრისა და მწყემსის განწესება ქრისტეს კანონებს მიმდევარი იქ მყოფი ხალხის გამომხსნელი გაძღოლისათვის, როგორც ამას წმინდა და ღვთაებრივი კანონები გვასწავლიან - რათა არც ერთი სამრევლო და ეპარქია არ დარჩეს დიდი ხნით სულიერი და სამოძღვრო ნუგეშის გარეშე.

ამის მოსაგვარებლად, ჩვენთან, დიდებული დიდმოწამის გიორგის სახელობის საპატრიარქო ყოვლადღირს ტაძარში, ჩვენი საპატრიარქო ინიციატივითა და ნებართვით, ჩვენ გარშემო მყოფ თანამწირველ მღვდელმთავრთა კრებამ კენჭრისყრით აირჩია და სხვებს შორის ყველაზე შესაფერისად მიიჩნია ღვთისთვის უსათნოესი ეპისკოპოსი რიმნიკისა, მეუფე ანთიმოზი - ამ მეტროპოლის სამღვდელმთავრო და სამწყემსო ფუნქციის აღსასრულებლად, რომელიც ღირსეული და ღვთისმოშიში კაცია, შემკული სამღვდელმთავრო ღირსებითა და სიქველეებით[3], რომელიც საზოგადო არჩევანთან ერთად, მისი უბრწყინვალესობისა და უმაღლესობის, ყოვლად უნგროვლახეთის ღვთისმოშიში, დიდებული და ღირსეული ბატონისა და წინამძღოლის, მეუფე, მეუფე იოანე კონსტანტინე ბასარაბა ვოევოდას მხარდაჭერით სარგებლობს, რომელიც ჩვენი უსათნოესი სულიერი შვილია და მისი უბრწყინვალესობით სუფევს და განაგებს ალექსანდრიის უწმინდეს და უნეტარეს პატრიარქებთან - უფალ გერასიმესთან, იერუსალიმის პატრიარქ - უფალ ქრისანთოსთან[4], ჩვენს სულიწმინდით საყვარელ ძმებთან და თანამოღვაწეებთან, ამ ადგილის უწმინდეს სამღვდელო და საერო პირებთან ერთად, და ღვთის მფარველობაში მყოფი ამ ქვეყნის ქრისტეს მორჩილ სხვა ხალხთან ერთად. სწორედ მან წამოაყენა უფალ ანთიმოზის კანდიდატურა, ადგილობრივი წეს-ჩვეულების თანახმად, რომელიც განმწესდა ამ ქალაქის სამწყემსო მფარველობის აღსასრულებლად.

ამის გამო, ჩვენი მეტროპოლის წმინდა მღვდელთმთავართა სინოდის, სული წმინდისმიერი ჩვენი საყვარელი ძმებისა და თანამოღვაწეების საერთო გადაწყვეტილებით, ამ წერილით ვაძლევთ თანხმობას აქ - უბრწყინვალეს უნგროვლახეთის სამფლობელოში მყოფ უწმინდეს მღვდელმთავრებსა და ღვთისთვის უსათნოეს ეპისკოპოსებს, სულიწმინდისმიერ ჩვენს უსაყვარლეს ძმებსა და თანამოღვაწეებს, აღასრულონ არჩეული კანდიდატის - ღვთისუსათნოესი უფალ ანთიმოზის გადმოსვლა რიმნიკის საეპისკოპოსოდან უნგროვლახეთის უწმინდესი

მეტროპოლის ტახტზე[5], საეკლესიო წესის მიხედვით. რის დასტურადაც წარმოვადგენთ ჩვენი საპატრიარქო კრების მიერ შექმნილ ამ დოკუმენტს.

1708 წელი, თებერვლის დასაწყისი

† კონსტანტინოპოლელი კიპრიანე

[და სინოდის წევრი დანარჩენი მღვდელმთავრების ხელრთვები].

კომენტარები:

---

[1] წერილი *Ἔκδοσις περὶ μεταθέσεως εἰς τόν Θρόνον Οὐγγροβλαχίας τοῦ Ριμνίκου Ἀνθίμου* - მსოფლიო საპატრიარქოს არქივი, *ხელნაწერი N (კოდექსის ნომერი) Α΄δ/΄1, გვ.102-103.* ბერძნულიდან თარგმნა თათია მთვარელიძემ, რუმინულ ტექსტან შეჯერდა და რედაქტირდა დეკანიზ ალექსი ქშუტაშვილის მიერ იხ. „Scrisoare de îngăduire patriarhală pentru strămutarea la mitropolia Ungrovlahiei a lui Antim, episcop de Râmnic - 1708, începutul lunii februarie“ გვ. 58-63 კრებულიდან- Scrisori / Sfântul Antim Ivireanu ; lucrare publicată cu binecuvântarea Preafericitului Părinte Daniel, Patriarhul Bisericii Ortodoxe Române ; ed. îngrijită de Arhimandrit Mihail Stanciu și acad. Gabriel Ștrempel. - București : Basilica, 2016.

[2] ანთიმოზ ივერიელის უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტად არჩევის სინოდალური აქტის კანონიკურობა არასოდეს დაყენებულა ეჭვის ქვეშ კონსტანტინეპოლელი პატრიარქების მიერ. მხოლოდ მოგვიანებით, იერუსალიმელი ხრიზანტი, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ იყო ამ წერილის შემდგენელი უარყოფდა მას, რითაც არღვევდა ეკლესიის ძველ წესსა და ტრადიციას.

[3] წმინდა ანთიმოზ ივერიელის პიროვნების ეს დახასიათება ბევრად მეტად დამაჯერებელია, ვიდრე გვიანდელი ცილისმწამებლური ბრალდებები. წმინდა ანთიმის თანამედროვეებისა და მოგვიანებით მისი შმოქმედებისა და მემკვიდრეობის მკვლევარები ჯერდებიან ერთ აზრზე, რომ ანთიმოზ ივერიელის ქმედებებთან, მის საქმიანობასთან დაკავშირებით რაიმე ეჭვები რომ ყოფილიყო, მაშინ სინოდის წევრები არ იჩქარებდნენ მის დამტკიცებას უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტად.

[4] რუმინული ტრანსკრიპციით ხრისანტ ნოტარა.

[5] აღსაყდრების ან ხელდასმის მსახურების დელიგირება იყო ჩვეულებრივი პრაქტიკა წარსულ საუკუნეებში.